ISSN 0132-6015

ნიანგი

9
მაისი
1989

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„...როგორც ცნობილია, ჩვენი ქალები და ბავშვები მაინც დაიღუპნენ, თუმცა მათს გადარჩენას თურმე ძალიან ცდილობდნენ საგანგებოდ ამისათვის ჩამოყვანილი გულმოწყალე ჯარები სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროსი...“.

ვახტანგ ბერიძე
(გაზეთი „თბილისი“, 5. V. 1989 წ.)

●

ეს რაი გვიყავ?! —
ეს ვის ხელში
ჩაგვყარე, ზენავ?! —
გვრიტ არს ამათთან
შედარებით
თვით ყრუ მურვანი!..

მუხრან მაჭავარიანი

პლაკატი საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ჯემალ ლოლუასი

ენთოს!..

მამულიშვილნო, ჩვენი ერის აღორძინებულო სულო, ხვალის იმედო და აკვნის დამრწევო, ჩვენო ახალგაზრდობავ! ახლა, როცა ერთიწმინდაში ცრემლი სდის პაატას მოკვეთილ თავს, როცა ღვიძავთ წინაპართა საფლავებს, მოგმართავთ თქვენ, რადგან აქამდე მეც თქვენსავით საკუთარ თავს დავეძებდი მწარე ფიქრების ლაბირინთებში!..

რა მოხდა — იცით, რა ხდება — ხედავთ, რა მოხდება — თქვენს გონიერებას ჰკითხეთ!..

სიხსლო უმანკოვ, სიხსლო უცოდველო, რა სიტყვამ დაგიტიოს და რა ცრემლმა ჩაგრეცხოს?!. ასე ხომ ბალახსაც არ მოუქნევს ცელს სჯულიერი!.. გვაპატიებს კი ისტორია ამდენ შუბლგაჩეხილ დედას, როცა საქართველოში საჭიროების დროს სიკვდილი უპირველესად მამაკაცთა პრივილეგია იყო?!

შეგვინდეთ, დებო, თქვენი ასე უღვთოდ გაწირვა!.. შეგვინდეთ, რადგან უკვდავებამ გადმოგაფართა კალთა და თქვენი სულებიც დამფრთხალი მტრედებივით შეიყუყუნენ „ქართლის ცხოვრების“ სულთა სადგომში!..

ეს მოხდა, ვაი რომ, მოხდა!..

ვერაფერი სახელია შეჯავშნული მეომრისთვის უსახოო ქალიშვილთა ორლესული ბარებით თიბვა, ხოლო ასეთი მეომარი ვერაფერი დიდება არმიისთვის, თუ იგი ცივილიზებული ქვეყნის არმიაა.

მაგრამ რას იზამ, ქალის ორი ძუძუ ვისთვის ხალოცავი ტაძარია და ვისთვის არა!..

ყველაფერი იმდენად ნათელია, მოდით, ნუ დავიწყებთ გარკვევას — ვის ლომის წილი უდევს ამ საშინელებაში და ვის — ტურისა!

მთავარი განვსაჯოთ — დემოკრატია მარსის ბავშვობა გამოდგა თუ ეს შავი ცეცხლი ჩვენი ხელით მიტანილმა ფიჩხმაც დაგვინთო?!.

პირდაპირ ვიტყვი: დემოკრატია ცოტასთვის თუ მონატრებული წყალი და ჰაერი გახდა, უფრო მეტისთვის იგი ის მხუჭანი ნაჭერი გამოდგა, რომელიც ძალიან მალე ააყროლა ბლიქვნელობის, მაამებლობის მარად ცოცხალმა ბაცილამ თუ ვირუსმა!.. სწორედ მათი მისამართით მინდა განვაცხადო — ბატონებო, დემოკრატია და გარდაქმნა, წყალობა, მაღლიდან ნაბოძები მანანა კი არ გახლავთ, არამედ კანონზომიერება, ისტორიული აუცილებლობა, მიმდინარე პროცესთა შედეგი. ამდენად იგი მარაო არ არის, ვინმეს რომ უამოთ და უგრილოთ, ხოლო ამით ახალგაზრდობას თქვენდამი, უფროსებისადმი რწმენა საბოლოოდ დააკარგვინოთ!... კმარა!

დიახ, ბატონებო, ჩვენმა, ჩვენი ინტელიგენციის გაუბედაობამ, თვალთშენახვისა და თვალგაფართხილების აუხსნელმა ინსტინქტმა მიიყვანა ჩვენივე შვილები უკონტროლო გაბედულებამდე, მათი სიხსლის თითო წვეთი ყველას გვაცხია და არასდროს არ შეგვაშრება!..

სახჯელად ესეც გვეყოფა!

სახჯელად ისიც გვეყოფა, ქართული ცა მათი თვალებით რომ ჩამოგვხედავს, მათი ნაბიჯი რომ მოინატრება თბილისის ქუჩებს!..

დიახ, არ გვეყო პოლიტიკური კულტურა!.. ნუთუ ქართულ სიბრძნეს თმები გაუშავდა და ამან მიიყვანა ერი ემოციების წყალდიდობას? მასის პოლიტიკური მართვა ხელოვნებაა და ეს ხელოვნება არც პროსპექტზე წერია, არც თბილისის რომელიმე მოედანზე. ეს უნდა სცოდნოდა ყველას, ვისაც ეს უნდა სცოდნოდა! ვერაფერი მწყემსი ყოფილხარ, თუ ხამწყემსავში მშიერი მგლები შემოგიცვივდნენ და უცოდველი კრავები დაგიფლითეს!..

პასუხისმგებლობა ყველას აწევს მხრებზე — დიდიდან მცირემდე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გარდაქმნა და დემოკრატია ორლესული ბარით უნდა დასდევდეს თუნდაც უმართავ მასას, როცა მათი დაწყნარების სხვა ხაშუალებებიც მოიძებნება!..

ერო თარგამოსავო!

რამდენი ცოტნე დაგიზრდია, რამდენი თამარი, რამდენი ქეთევანი!.. როგორ არ გვწამდეს ყველა ჭეშმარიტად ქართული საქმის გამარჯვებისა, როცა სალოცავში ამდენი კელაპტარი გვინთია, როცა ახეთი ახალგაზრდობა გვყავს?! ისტორიამ მოგვცა და გავუფრთხილდეთ, ღვთისმშობელმა დაგვილოცა და შევინარჩუნოთ!

მწიფს ჩვენი ქართული სული და ჯთველიც შორს არ არის, მაგრამ ყველაზე დიდი სიმამაცე მაინც გონიერებაა — უნდა გავუფრთხილდეთ ყოველ ქართულ სიცოცხლეს, ასე განუკითხავად და ჰაიბარად არ უნდა მივუგდოთ ჩვენს სიხსლსა და ხორცზე დაგეშილ კანიბალიზმს!.. ეროვნული კონსოლიდაცია, ჩვენი ერთად ყოფნა ვაშენოთ დავითის სიბრძნით და დავითის მკლავით! განა ცოტას ნიშნავს, რომ მაშინ, როცა მთავრობის სახახლის მოედანზე ბიბლიიდან გამოვარდნილი კაენი როკავდა და სიკვდილი ხარხარებდა, ქართული მილიცია, ქართულ პერანგებში დაზრდილი ბიჭები თქვენთან დადგნენ! ვინ იცის, ეს რომ არა, კიდევ რამდენი სამარე გაიჭრებოდა ჩვენს წამებულ მამულში?!. განა ცოტაა, რომ თქვენ, დიახ, თქვენ, თქვენმა სიკარგემ და სიკეთემ და ბოლოს ისევ თქვენმა მოწამებრივმა სიხსლმა გაახსენა ჩვენს ინტელიგენციას, რომ იგი ქართველი ინტელიგენციაა!

რესპუბლიკის ყოფილმა თავკაცებმა დაკარგეს წინაპართა ზნეობრივი მაგალითი — როცა ყამი დარეკავდა, შვილთა გვერდით დამდგარიყვნენ და თავი ქართული ცის წყევლისთვის არ შეეშვირთავ! ერი ასეთ ფაქტებს არ ივიწყებს!..

ახლა მთავარი ის არის, როგორ ვიცხოვროთ ამიერიდან, როცა ჩვენს თვალწინ გამოღადრა სალახმა ყელი დემოკრატიას, როცა მავანნი ისე ცდილობენ საქმის წარმოჩენას, თითქოს 9 აპრილის დილას ერის პათოლოგიური სიძულვილის სიხსლიანი დემონსტრაცია კი არ გამართეს ხელისუფლებისა და დემოკრატიის ჭეშმარიტმა მტრებმა, არამედ მხოლოდ ემოციებმა შეაწყვიტა ერთმანეთს დასუსტებული მოშიმშილენი!..

არ შეაშრება ქართულ მიწას 9 აპრილს დაღვრილი სიხსლი, არ შეაშრება, რადგან დაღუპულთა სულები არ მოგვასვენებენ! ნუთუ სიხსლიანი კვალი უნდა შეგვყვეს ოცდამეერთე საუკუნეში? ამის საშიშროება კი მართლა არის იმ ბართლომეს დილას მთავრობის სახახლესთან აჩეხილი დემოკრატიის სახით!..

ჰოი, აღზევებულო ბარბაროსობავ! ჩვენმა ჯიშმა მოინელა სახედაჯღანული მონღოლი, რომისა და ბიზანტიის იმპერიები!.. ეს ის უკვდავი ყვავილია, ჩექმით რომ ჩახრისო, ჩექმაზე ამოვა! სიძულვილსაც კულტურა სჭირდება, რაც არ აღმოაჩნდათ არათუ უხუსურ გოგონებსა და ქალებთან მებრძოლთ, არამედ ცენტრალური ტელევიზიისა და პრესის წარმომადგენლებსაც!

აი, რატომ ყმუოდნენ ინფორმაციის მძორს შესეული აფთრები, რატომ თესავდნენ შოვინიზმის შხამსა და ეკალს!.. ეტყობა, ვილაცას ძალიან სჭირდებოდა სწორედ ქართულ სიხსლში ჩაეხრჩო დემოკრატია!..

ჩემო ახალგაზრდა მეგობრებო! ჩვენთან არს ღმერთი და მარად იცოცხლებს ფარნავაზის ხელით დარგული ეროვნული ხე! მას თქვენი სულის სიმხურვალემ დაუბერა კვირტები! ჩვენს მთავარ პროსპექტს მარად შერჩება თქვენი სიხსლის კვალი, იმ წმინდა ცეცხლის სველი ნაპერწკლები!.. თუ კიდევ არის სადმე სამართალი, თუ გარდაქმნა და დემოკრატია სათბურის ყვავილი არ არის, დრაკონს დრაკონისა მოეკითხება! — დაღუპულთა დედების ცრემლი, საქართველოს ცრემლი მოითხოვს ამას, ფეხმძიმე ქართველი ქალის სხეულში ჩაკლული ჯერ კიდევ უშობელი სიცოცხლე მოითხოვს! ასეა, ძველი ტრადიციით ხალხი ბევრს დღესაც თვალაუხელელი კნუტი ჰგონია! დიახ, როგორ ვიცხოვრებთ, ეს დიდად იქნება დამოკიდებული იმ კომისიის დასკვნებზე, რომელიც ტრაგედიის მიზეზებს იძიებს, იმაზე, თუ რა სახელს დაადებენ მარსის იმ დუყმორეულ შვილებს, სკვითური გახელებით რომ ჩეხდნენ ნორჩ სიცოცხლეს!..

მომავალი გვაჩვენებს, ვინ და ხად გრეხდა იმ თოკს, დემოკრატიის სახრჩობელას ძელზე რომ აქანავდა!.. თუ თვითონ დემოკრატია და გარდაქმნაა ცარიელი სატყუარა?!.

არა, არ უნდა გავჩუმდეთ, ხათქმელი უნდა ითქვას, გასაკეთებელი გაკეთდეს, მაგრამ ჩვენი ქართული სიმართლე იმ ნაცადი ფორმებითაც დავიცვათ, ბალტიისპირეთმა რომ ასე კარგად გამოიყენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში!..

ჩვენი ერი ბიბლიის გაღმიდან მოდის და „მრავალყამიერი“ მოაცილებს! ბერთამომენი ხალხი ვართ! ამ ტრაგედიასაც ახომთავრულით ჩავიწერთ მატიანეში, მაგრამ ტკივილს კი ვერ დავიყუჩებთ! — ეს ჩვენი უფლებაა! ჩვენი უფლებაა ისიც, რომ ერმა სამარადისოდ შეინახოს ის ადგილი, სადაც უცოდველ ქალწულთა, დედათა სიხსლი დაიღვარა, რომ იქ უწმინდურების, სიბილწის ფეხი არ დაიდგას!.. როგორ და რა ფორმით გავაკეთოთ ეს? ალბათ, ამაზე ღირს დაფიქრება!..

დიალოგი, აზრთა გაცვლა ყოფილა და დღესაც არის ჭეშმარიტების დადგენის ნაცადი ხერხი!.. მას მხოლოდ ის გაურბის, ვინც სიმართლის ზურგს ეფარება. რესპუბლიკის ახალმა ხელმძღვანელობამ დისკუსიის ხურვილი გამოთქვა. დავიჯეროთ, ვირწმუნოთ! გაირკვეს, სად ჭეშმარიტებაა და სად პოლიტიკური სიცრუე, ისტორიის ეს ფერუმარილით შეთხუპნული მეძავი!.. ყველა კითხვას პასუხი უნდა გაეცეს არა სიჩუმით, არა ვითომდა ბრძნული დუმილით, არამედ პირდაპირ, სახალხოდ!

ჯერ პასუხი არ არის!.. ალბათ იქნება, იქნება არა ზოგადი ლოზუნგებისა და ბრჭყვიალა ფრაზებში გახვეული ახალი სიცრუის კონცენტრატი, არამედ პირადით გამომცხვარი სიმართლე!..

ვნახოთ!.. ბევრჯერ მოვტყუუებულვართ და ჩვენს ახლანდელ სკეპსისსაც ეს ბადებს!..

დიახ, დაველოდოთ! ახლა სიმშვიდე მამაცობაა, გასაკეთებელი ბევრი გვაქვს — ნუ მოვიკვეთთ ხელებს! საფიქრებელი ბევრია — ნუ წავუშვერთ თავებს ქართული სიხსლის სიმხურვალით გავარვარებულ ორლესულ ბარებს!.. გვეყოფა!.. ქართული მიწა არავის არაფერს აპატიებს, ყველაფერი გაირკვევა! ხალხი კი ბრძენია — დასაჯერებელს დაიჯერებს, დაუჯერებელს კი უკან ესვრის მთქმელს! — ეს უკვე ჩვენი დემოკრატიული უფლებაა და ამას ვერავინ აგვიკრძალავს! მანამდე კი ენთოს თბილისის დედაქუჩაზე ის დაღვრილი სიხსლი, ენთოს, როგორც ბრალდება, როგორც გაფრთხილება, როგორც სინანული, როგორც ძახილი!..

ჯემალ აფციაური

ილია ოვარლიანი

სუფრაჩვენი ფანტაზია

* * *

— ჩვენ ვენდობითო!.. —
იღებს სიტყვას სხვების სახელით!..
დგას ტრიბუნაზე
იანუსი და აქებს ასპიტს!..
რა შეიცვლება,
როცა ვამხელ ეშმას გამხელილს —
კაცს ფარისეველს,
იმ ასპიტზე შხამიანს ასგზის?!

* * *

ნაცნობებით და
პროტექციით შეძენილ სახელს
აქვს დიდ ქალაქში
ხელოვნური გაზონის სახე!

რა გინდ იდავო,
ბუნებრივად ვერ ჩათვლი, ვერა! —
ხომ არ ჩათვლილა
დუნიაზე არნივად ძერა?!

* * *

მოიმოქმედა,
მოვიდა და... შეერწყა ფერებს,
მავანს და მავანს
ყური უგდო, —
გახლდათ მავანი, —
თანამედროვეს ის არ ძალუძს,
რასაც კი შერე
ადგილს მიუჩენს
ღირსეულად შთამომავალი!

* * *

ხელთ იგდო პოსტი,
უმცროსებზე ჯავრი იყარა,
ლოკატორებად
მლიქვნელობის
ყურნი ასნია!
როდესაც გული
იჯერა მან,
გადაიკარა
ღვარძლი და...
ახლა უცოდველი,
მშვიდი კაცია!

* * *

ზის სავარძელში
მძიმე-მძიმედ, —
აქვს მიტომ წონა,
მაგრამ თუ ერთ დღეს
სავარძელი გამოაცალეს,
არვინ აღირსებს

„ბატონოს“ და „შენ გენაცვალეს“, —
გახდება უცბად
ქარსგატანილ ბუმბულის ტოლა!
ესეც იცის და...
სავარძელი სიცოცხლედ ულირს,
ჩაფრენილია კბილებით და...
სახეა მისი!
საკითხავია:
სანამ ჰქონდეს
სკამი კაცს ულირსს,
სანამდე ასე
სახელი და ქუდ-ბედი სხვისი?!

* * *

შენ როგორ ფიქრობ:
რომ იძახი თეთრზედა — „შავი!“ —
გახდება წამით
ფიფქა გედი
ჭვარტალა ყვავი?!
როგორც სალბუნად
არ ჩაესმის ყურს
მსხვრევა ზვავის,
ისე ყინულზე ცეცხლის ვარდი
აროდეს ჰყვავის!

* * *

როგორც კი
პოსტზე დანიშნეს და
ხმა დაიყენა,
დღეს თითქმის
ყველა საკითხს სწვდება,
არჩევს და არკვევს!
მიმოიხილავს დაჯერებით
ყველაფერს, ყველას, —
კარიერა ხომ
მისი ჭკუით აბზინდა სარკედ!
ისმენენ უთვლელ სიბრძნეს მისას
საოცარ თმენით,
მერე კი
ალბათ არვინ იცის,
თუ რა მოხდება!..
როს აეკრძალვის
ტრიბუნაზე ქავილი ენის,
როცა მოხსნიან,
ძმა რომ ძმაა, —
აუმბოხდება!

* * *

რა საბუთით და
რა სიბრძნე-განსჯით
დგახარ და
სხვათა
ბედ-ილბალს ჩხიბავ?!

ვინც შეგაჩეჩა ხელთ
მჭრელი ბარჯი,
ალბათ ისევე იმასვე
ხიბლავ!
შენი გზა თურმე
გახდა წყვდიადი
სიმართლესა და
სიცრუეს შორის,
დაწყევლილია
ეშმას ხმიადი,
ვით ურიისგან
— გაჩენა ღორის!
შენ კი რა? —
ისევ არად აგდებ
დღეს ყოველს, ყველას,
ოლონდაც შენმა
იხაროს ჭიამ!
ურმის კოფოზე
შესკუპებულს გწადია
შველა,
თუმცაღა უღლის
მიჰყვები ჭრიალს!..

* * *

— გათენდებაო დღე უარესი! —
ჭექა-ქუხილში
ხარობს ელია!..
მჭრელი მახვილით
ელავს არესი
და დღეს ნუგეშიც
ძნელზე ძნელია!..
ხარ ყინვისა და
დათვის მსახური,
მართლაც ერთგული
ორგულთა მოდგმის,
და გზნება,
ფერფლი გადანახული,
ჩემო ბატონო,
იფეთქებს როდის?!

* * *

წვერ-ულვაში მოუშვა და...
შეუთხელდა თმა!..
იმდაგვარი ჯიში აქვს, რომ
აღარ უნდა თქმა!..
კიდეც მწერლობს!..
ვაშმე, მართლაც,
რაც პოსტები ეკავა,
მელოტ-მელოტ გადაიქცა
თავის თავის რეკლამად!

1986 წ.

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



„ვაზის ძირში დარჩეული აკვანი!..“

ნახ. ბ. კეტრიკაშვილისა

ბიუროკრატები სახლმმართველობაში

— ესე იგი, თქვენ ზაქარია ჩიტიძე ხართ, არა?

— დიახ!

— მეხუთე კორპუსიდან?

— დიახ, 25-ე ბინიდან.

— რამდენი წლისა ხართ?

— ოთხმოცდაორის.

— კარაქის ტალონისთვის ხართ მოსული?

— დიახ, თუ შეიძლება...

— რა თქმა უნდა, შეიძლება!. აბა, ამდენ შეკითხვას ტყუილუბრალოდ ხომ არ მოგცემდით?! ცნობა თუ მოეტანეთ?

— არა, ახლა არა, მაგრამ შარშან ხომ მოგიტანეთ ცნობა სოცუზრუნველყოფის განყოფილებიდან, რომ პენსიონერი ვარ!..

— ის შარშან იყო, წელს ახალი ცნობა უნდა მოიტანოთ, უამისოდ ტალონს ვერ მიიღებთ!

— კი, მაგრამ პასპორტი და პენსიონერის წიგნაკი ხომ მაქვს. ნუთუ, არ შეიძლება, ამის საფუძველზე მომცეთ ტალონი? ნამდვილად აღარ მეგონა, წელსაც თუ დამჭირდებოდა ისევ ცნობის მოტანა-..

— რატომ აღარ გეგონათ?

— იმიტომ, რომ ახლა ებრძვიან ასეთ ბიუროკრატიზმს და, ესეც არ იყოს, აქამდე ეჭვი არავის შეუტანია ჩემს პენსიონერობაში!

— მოითმინეთ, მოითმინეთ!.. ეს რასა ჰგავს?! ჯერ ერთი, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ჩემი საქმეა და არა თქვენი. ესეც საოცარია კიდევ, განა ცნობის მოთხოვნა ბიუროკრატიზმია? ასე ხომ ყველას შეუძლია თქვას; პენსიონერი ვარო! მე საბუთი მჭირდება! აბა როგორ?!

— განა ოთხმოცდაორი წლის კაცი არ ვგავარ პენსიონერს? ანდა, თუკი შარშანდელი ცნობით პენსიონერი ვიყავი, წელს ხომ ვერ გავახალგაზრდავდებოდი?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს?! იქნებ მუშაობა დაიწყეთ?!. და, რომ იცოდეთ, შრომის წიგნაკიც უნდა მომიტანოთ!

— რაღა დროს ჩემი მუშაობაა?!. მაგრამ რომც დამეწყო, ხომ უნდა ნამდლო თქვენგან ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან?

— მაგ ცნობას ამ ცნობასთან არავითარი კავშირი არა აქვს! ან ვინ იცის, იქნებ ნაილეთ კიდევაც, ახლა მაგის ძებნასაც ხომ არ დავიწყებ?! ვერ ხედავთ, როგორ ვარ დაკავებული?! კიდევ ერთხელ გიმეორებთ, მე მჭირდება ცნობა სოცუზრუნველყოფის განყოფილებიდან, რომ ნამდვილად პენსიონერი ხართ! ღმერთო ჩემო, როგორღა აგიხსნათ? უსაქმური ხომ არ გგონივართ?! სად მცალია, მთელი დღე ასე გელაპარაკოთ?!

— აბა, რა ვქნა? დღეს ნამდვილად აღარ შემიძლია სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში წასვლა. თუ ტალონებს მომცემთ, პირობას გაძლევთ, რომ რამდენიმე დღეში ცნობას მოგიტანთ!

— მაინც რამდენი ტალონის წაღება გინდათ?

— ორის, ჩემი და ჩემი მეუღლისა.

— რატომ თვითონ არ მოვიდა?

— ავად არის, არ შეუძლია.

— აბა, ცნობაც რომ მოგეტანათ, თქვენი მეუღლის ტალონს მაინც ვერ მოგცემდით, პირადად უნდა მოვიდეს!

— თუ არ გჯერათ, დაურეკეთ და თვითონ დარწმუნდებით, რომ ავად არის!.. აი, ჩემი ტელეფონის ნომერი!

— ახლავე ყველაფერს გავარკვევ, აბა, მე აქ რისთვის ვარ?

— ისიც ჰკითხეთ, ახლა სადა ვარ!

— ალო! ჩიტიძის ბინაა? თქვენ მისი მეუღლე ხართ? აჰა, გასაგებია!.. ავად ხართ?.. სად არის ახლა თქვენი მეუღლე?.. სახლმმართველობაში?.. გმადლობთ!

— აი, ხომ დარწმუნდით?

— კი, მაგრამ რით დამიმტკიცებთ, რომ ნამდვილად თქვენს მეუღლეს ველაპარაკე?

არაერთი პენსიონერის თხოვნით — თეიმურაზ მორგოშია.

ჩაი ყოანით, ჩაი?!

ანუ დავიწყებული „ცისფერი თავდავიწყება“

ფელეტონი

თუ გიფიქრიათ ოდესმე იმაზე, რატომ დაარქვეს **ჩაის** ჩასაყენებელ ჭურჭელს **ჩაიდანი?!** — ვეჭვობ, ალბათ თავიც არ შეგიწუხებიათ! არა, შესაძლოა, გიფიქრიათ კიდეც, მაგრამ პასუხი ვერ მიგიღიათ! პირადად მე ეს თავსატეხი დიდი ხანია ამოხსნილი მაქვს და სრული საფუძველი გამაჩნია, პირდაპირ განვაცხადო: მან, ვინც სიტყვა **„ჩაიდანი“** პირველად ახსენა, უთუოდ იწინასწარმეტყველა, რომ მწვანე ოქროდ წოდებულ ამ ძვირფას მცენარეს — ჩაის ერთ დროს დანითაც ხელყოფდნენ!..

მართლა რა დიდი გულთმისანი და მზაკვარი ვინმე ყოფილა ის უცნობი ნათლია! ადვილი შესაძლებელია, მას ისიც ეწინათგრძნო, დროთა განმავლობაში სინდისგარეცხილი ადამიანები დანასაც არ დასჯერდებიან, ღვთაებრივ ნორჩ ფოთლებს, ჩინურად **ჩა** რომ ჰქვია, ისე შეურაცხყოფენ, საქვეყნოდ სახელს გაუტეხენო!

ჩაის ჩაგვრა თავდაპირველად ხელთათმნიანმა მკრეფავებმა დაიწყეს, — თითებსაც დავიცავთ და ნედლეულსაც (სულ ერთია, როგორს) უხვად დავახვავებთო! შემდეგ თანდათან მომრავლდნენ ხელდანიანები, ხელნამგლიანები, ლითონის, ხისა თუ ბამბუკის თვითნაკეთი დანისმაგვარი იარაღმომარჯვებულები, ცოტა უფრო გვიან გოლიათ დანებად იქცნენ სანაქებო საკრეფი მანქანები!.. აგრესიულობით მათაც გადააჭარბეს უმცროსმა ძმებმა — ხელის აპარატებმა!.. გაჭირდა გარჩევა, რომელი უფრო მეტ ბარბაროსობას იჩენდა ჩაის გასანადგურებელ ტოტალურ ფრონტზე. ხოლო თვითნაკეთი „საბრძოლო“ იარაღი იმდენი დაგროვდა, მისი ერთი ნაწილი, სტიქიურად ნედლეულში შერეული, ჩაის ფაბრიკების მუშებს ხელში უვარდებოდათ.

არაერთი ასეთი იშვიათი „ნადავლი“ აღმოგვიჩენია წლების წინათ **ზუგდიდის ზონაში, კერძოდ, ჩხორონყუს, ნალენჯიხის, ცხაკაიას რაიონებში, რის შესახებაც ხმა აღიმაღლა „ნიანგმა“ 1984 წლის მე-10 ნომერში.** მეჩაიეობის რომელ რაიონში არ ნახავდით სხვადასხვა აკრძალული საშუალებებით ნაგლეჯ, მინარევებით „გამდიდრებულ“ მომწვანო კონგლომერატს!

სწორედ იმ ხანებში, როცა ქართული ჩაის მდგომარეობის გამო საერთო უკმაყოფილებამ, გულისწყრომამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია და **ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას** მოწოდებას საყოველთაო გამოხმაურება მოჰყვა, ყველა ერთად დაირაზმა მკრეფავ-ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ. დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ჩაის ხარისხისადმი გულგრილ ხელმძღვანელებს, მუშებს, კოლმეურნეებს, სპეციალისტებს. იმ სეზონის დასაწყისსაც კარგი პირი გამოუჩნდა, მაგრამ....

გადიოდა დრო. ჩაის ხარისხის საქმეს სასიკეთო დიდი არაფერი დასტყობია! — ძნელი აღმოჩნდა წლების მანძილზე მკრეფავთა ფსიქიკაში ღრმად გამჯდარი მავნე თვისების — ხარისხის უგულებელყოფით რაც შეიძლება მეტი ნედლეულის მიღების სურვილის აღმოფხვრა! არასწორი, უმოწყალო ექსპლუატაციის, ამასთან მინერალური სასუქების უთავბოლო გამოყენების, პლანტაციების დამუშავების, კრეფის აგროვადებისა და წესების სისტემატურად დარღვევის შედეგად მწვანედ მოხასხასე პლანტაციებს ბევრგან უფრო აშკარად დაეტყო დაკნინება-გადაგვარების ჩრდილი. გახშირდა მუქი ფერები. ყოველივე ამას ზედ ერთვოდა არახელსაყრელი კლიმატური პირობები, ამინდის ჭირვეულობა.

ისევ დადგა განგაშის, ზარის ჩამოკვრის ჟამი! ქართული ჩაის ბედით დაინტერესდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მთელი საზოგადოება. ადგილებზე მდგომარეობის საფუძვლიანად შესწავლისა და ყოველმხრივ გაანალიზების საფუძველზე სამამულო ჩაის პრესტიჟის აღდგენის მიზნით გატარდა აუცილებელი ღონისძიებები: **მნიშვნელოვნად შემცირდა კრეფის საერთო გეგმა, გაიზარდა მეჩაიეთა შრომის ანაზღაურება, მზა პროდუქციის ფასი, მატერიალურ და მორალურ ნახალისებასთან ერთად თავისთავად გაძლიერდა კონტროლი, მომთხოვნელობა!**

ამგვარი სულისკვეთებით, გარდაქმნის საკადრისი შემართებით დაიწყო 1988 წლის სეზონი. პირველი შედეგიც ნათლად გამოჩნდა. მაისში ძირითადად იკრიფებოდა და გადამმუშავებელ საწარმოებში იგზავნებოდა პირველხარისხოვანი დუყების ტონები. ხოლო მათ, ვინც „ძველ წესს“ არ იშლიდა, გარდაქმნას ფეხს ვერ უწყობდა, პირველსავე წინააღმდეგობას თვით ჩაის ფაბრიკების მესვეურები უწევდნენ, უბოდიშოდ უბრუნებდნენ უკანვე უხარისხო პროდუქტს. ასე მაგალითად:

1988 წლის 16 მაისს ცხაკაიას № 1 ფაბრიკიდან გეჯეთის საბჭოთა მეურნეობას დაუბრუნეს 1240 კგ ნედლეული, რომელშიც მოუხეშო ფოთოლმა (46 პროცენტი შეადგინა, ჯოხმა — 3 პროცენტი.

იმავე დღეს აღნიშნულმა ფაბრიკამ გადასამუშავებლად არ მიიღო სოფელ ფოცხოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის 1550 კგ ჩაი. ასევე 16 მაისს უხარისხო ნედლეული დაუბრუნდათ ლეძაძამის ცხაკაიას და გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობებს.

28 ივნისს ნალენჯიხის რაიონის ჭალე-ფახულანის ფაბრიკაში მუჟავის კიროვის სახელობის კოლმეურნეობიდან მიტანილ 320 კგ ნედლეულში მინარევი აღმოჩნდა ორი პროცენტი, ყავისფერი ღერკი — ოთხი პროცენტი. იმავე დღეს სანარმომ ნახევარი ტონა უხარისხო ნედლეული დაუბრუნა მუჟავის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას.

10 აგვისტოს ზუგდიდის რაიონის დარჩელის ჩაის ფაბრიკიდან ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობას დაუბრუნდა 1780 კგ უკონდიციო ნედლეული, რომელშიც ანალიზის მიხედვით აღმოჩნდა ხუთი პროცენტი მინარევი, თოთხმეტი პროცენტი ჯოხი.

20 ივლისს ზუგდიდის რაიონის ორჯონიკიძის ფაბრიკამ არ მიიღო ჭაქვინჯის კოლმეურნეობის № 3 ბრიგადის მიერ მოკრეფილი 2200 კგ დიდი ოდენობით უხეში ყლორტების შემცველი ნედლეული, მაგრამ იქვე დაუშვეს საპირისპიროც: 9 სექტემბერს გადასამუშავებლად მიიღეს ინგირის აგროსამრეწველო კომბინატის 3400 კგ უვარგისი ნედლეული.

გეგეჭკორის რაიონის ნაგვაზაოს აგროსამრეწველო კომბინატის ფაბრიკაში ერთ ტონამდე უხარისხო ნედლეული მიღებაგაფორმების, ანალიზის აღების გარეშე დაეყარათ. ადგილზე არც ლაბორანტი აღმოჩნდა, არც საწარმოს უფროსი და ტექნოლოგი.

ანალოგიურ ფაქტებზე ასობით აქტია შედგენილი როგორც დასახელებულ, ისე ზონის სხვა რაიონებში, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩაის ხარისხის პრობლემის გადასაჭრელად ჯერ კიდევ ვერ იბრძვიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა დონეზე. ბევრგან ისევ ძველებურად უდგებიან ნედლეულის გეგმაზომიერად კრეფის ორგანიზაციის, კოლმეურნეებისა და მუშების მატერიალური, მორალური წახალისების, მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს.

საზოგადოებრივი მეურნეობების სამექანიზაციო ფართობებში თითქმის უცვლელად იყენებდნენ არასწორ მეთოდს: პლანტაციების რიგებზე საგანგებოდ გადაზრდილ-გადაუხეშებულ ყლორტებს ბუნებრივ მინარევებთან ერთად, ცხვრის პარსვის მსგავსად, ერთიანად გადაკრეჭდნენ მანქანები. ასევე ხდება ხელის აპარატების სამოქმედო ნაკვეთებშიც.

ასეთ ვითარებაში ვილას გაახსენდებოდა ტიპსები — ჩაის ნაყენისათვის განსაკუთრებული გემოს, არომატისა და სამკურნალო-სასარგებლო თვისებების მიმნიჭებელი „ბაი-ხო“, რაც ჩინურად „ცისფერ თავდავიწყებას“ ნიშნავს?!

როგორ დავიბრუნოთ დავიწყებული „ცისფერი თავდავიწყება“? — მხოლოდ ჩაის ხარისხოვანი ფოთლის, ყოველგვარი მინარევისგან თავისუფალი ნორჩი ყლორტების კრეფით! ეს რომ ასე მოხდეს, აუცილებელია პატიოსნად, დროულად შესრულდეს ნედლეულის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება და, რაც მთავარია, არ უნდა მოიკრიფოს ჩაი ნამგლით, ჩაი დანით, ჩაი!...

ანზორ ბარამია,
„ნიანგის“ კორესპონდენტი ზუგდიდის ზონაში.

რომან მიმინოშვილი

სასტუმროული სტუმარი

ნოველა

მანანის კარი ახალგაზრდა გამცილებელმა გამოიღო, კისერზე ნითელ ლენტაზე ჩამოკონნილიყავდა მრგვალი თითბრის ფირფიტა ეკიდა, რომელზედაც ეწერა ციფრი 57.

— მოპრძანდით, კეთილ მგზაურობას გისურვებთ! — ღიმილით მითხრა და მაძალებდან გადმოსვლისას ხელი მომაშვებდა, — სათი ინებეთ გამგზავრებასა?

— ჯოპორტგრაფში, — მივუგე და ბილეთის ფული გადავუგე.

— ჯოპორტგრაფში ფეხით ერთი საათში გაფრინდება, მანამდის შეგიძლიათ კაფეში მოისვენოთ, ყავა მიირთვათ. მე ბილეთს გავაფორმებე, ბარგს ჩავაბარებ და გავალეკეთი...

არ მიყვარს ბეერი ლაპარაკი. ეს ბიჭი კი ენად გიკრიფავთ, ისედაც ნო

ვერ გავიგე!..

ვერ გავიგე, როგორ იცის
იმ ბებიამ, ამ ბებიამ,
იმ ოჯახში, ამ ოჯახში
რა ხდება, რა ამბებია?
ამ ბაბუას, იმ ბაბუას
რად ეძახის ინგა „ბუას“?
იმ ბიძიას, ამ ბიძიას
რად აქვს დიდი ამბიცია?
ამ ბიცოლას, იმ ბიცოლას
რად სურს ვაჭარ სიძის ყოლა?
ვის ახსოვს და ვინ უგზავნის
ამ დეიდას, იმ დეიდას
ასე ხშირად ამანათებს
ბომბეიდან, სიდნეიდან?..
ეს მამიდა, ის მამიდა
რად ვერ ხვდება, რის თქმა
მინდა?
— ამ მამიდას, იმ მამიდას
რად ვერ ძრავენ თბილ სკამიდან?
ეს სიდედრი, ის სიდედრი
სიძეს ადგილს რად აყვედრის?
ფართიფურთობს ვის იმედით,
რად დანყევლა სიძის ბედი?
ამ მუშაკს და იმ მეც. მუშაკს
ეს ბაზარი როგორ ფშუკავს?
ვერას ვიგებ ამ მძახლისას,
ვერას ვიგებ იმ მძახლისას,
როგორ გახდნენ მფლობელები
ამ სახლისა, იმ სახლისა?
ამ ბიძაშვილს, იმ ბიძაშვილს
ვინ უშენებს სახლს რინაში?
ისიც მინდა, რომ გავიგო:
ეს ნათლული, ის ნათლია
ხალხის სარჩოს, ხალხის
დოვლათს
მსუქან ნაჭრებს რად ათლიან?

თ. წითელხეველი.

რაღად გინდა მანქანა?

ვინ გიყიდა ეგ „ჟიგული“,
ასე ვინ გაგიმეტა?
არც ქვეყნისთვის ვარგიხარ და
არც ოჯახის იმედად!
როცა გამოიბრუჟები,
კარგავ ჭკუის გასაღებს,
გიკანკალებს ხელები და
ძრავასავით ცახცახებ!..
ნეტავ შენთან ვინ ქეიფობს,
ბრახუნავ და ქაქანავ,
შენ თვითონ ხარ სათრევი და
რაღად გინდა მანქანა?

იოსებ ბეკოშვილი
(ლაგოდეხის რაიონი).

გაჭედვა

— ალო!.. მილიციაა?
— დიახ!
— სასწრაფოდ მობრძანდით, „ზასარენიეა!“
— თქვენ შეგეშალათ, მოქალაქე, ასეთ შემთხვევაში სახლმმართველობაში უნდა დარეკოთ და სანტექნიკოსი გამოიძახოთ!
— არა, უფროსო, ჩემს მეზობელს საეჭვო მილში მილიონები აქვს გაჭედილი!.. გირჩევთ, წამოსვლისას თან ბულალტრების ეშელონი წამოიყვანოთ, თორემ იმდენ ფულს რა დათვლის, მაგარი კოოპერატივის პატრონია!

მზია მეგალიშვილი

ეს გვინდა ჰესი!

იუმორესკა

ლუარსაბ ფრთაფარფატაშვილმა სიტყვა რომ დაამთავრა, ტაშის ისეთი გრიალი ატყდა, როგორსაც ცამდე შემართული ყორის დანგრევა გამოიწვევდა წყნარ და უხმაურო უდაბნოში. ლუსა (როგორც შინაურები ეძახდნენ) დარბაზში დაბრუნდა, მაგრამ იძულებული გახდა ფეხზე წამომდგარიყო და კიდევ ერთხელ დაეკრა თავი აუდიტორიისათვის.

ტაშისკვრა ერთია და შინაგანი კმაყოფილება — მეორე. ორატორს თვითონვე მოეწონა თავისი გამოსვლა, არ დაუკლია არც მახვილსიტყვაობა და არც ირონია, არც სატირა და არც იუმორი. შეუბრალებლად ანადგურებდა მოწინააღმდეგეს და წამახალისებელი შეძახილებით ფრთაშესხმული ყოველ წინადადებას მკვეთრი ცინიზმით ამთავრებდა. ბოლოს ფეხის წვერებზე შედგა და მოწინააღმდეგეთა ბანაკს მთელი ხმით დასჭექა:

— არ გვინდა ჰესი! გესმით?! არავითარი ჰესი არ გვჭირდება!..

უეცრად უკანა რიგებიდან მელნისფრად თმებშეღებილი, შუა ხანს მიტანებული მანდილოსანი გამოენთო, სკუპ-სკუპით ფრთაფარფატაშვილისაკენ გამოემართა, მის გარშემო შემოკრებილთა რკალი გაარღვია, ხელები ჯერ თვითმფრინავის პროპელერივით დაატრიალა, მერმე წინმკლავით ლუსას კისერს მისწვდა და არასკოლამდელი ბავშვის ილეთით — „აბა, ვინ გავახარო“ — კისერზე ჩამოეკიდა. წითელი პომადით მოხატულმა ტუჩებმა სამი თანაბარი რკალი მოხაზა ფრთაფარფატაშვილის ლოყაზე. „მწ“!.. „მწ“!.. „მწ“!.. მოხალული ბატიბუტივით გავარდა კოცნის ხმა დარბაზში.

მოულოდნელი სიტუაციით შეცბუნებულმა ფრთაფარფატაშვილმა ტვირთს ვერ გაუძლო, ჩაიკეცა და გულაჩუყებული ქალბატონი სავსე ტომარასავით ზედ დაემხო. ათიოდე ხელი ერთბაშად მისწვდა წაქცეულებს, მაღლა აიტაცეს და მერე ნარნარად დაუშვეს გაპრიალებულ იატაკზე.

ერთი სიტყვით, საქმით და შედეგით ლუსა ერთობ კმაყოფილი იყო. სახლისკენ მიმავალი ოცნებით ცაში დაფრინავდა და ათასნაირ გეგმებს სახავდა: ამ საღამოს ლექცია ჰქონდა მოსამზადებელი, შეკითხვებზე — პასუხი გასაცემი, გაზეთისათვის — წერილი დასამთავრებელი და თერთმეტ საათზე ტელევიზორში არც დღევანდელი თათბირის გადმოცემა უნდა გამორჩენოდა, რათა კარგად განესაჯა თავისივე ხელების ჟესტიკულაცია, სახის მიმიკა და სიტყვათა ჟღერადობა.

სულ მალე გაილია სახლამდე მანძილი, ხელის სწრაფი მოძრაობით ჯიბიდან გასაღები ამოაძვრინა, კარი გააღო და თითებით ელექტრონის ღილაკს მისწვდა, მაგრამ ჩვეულებრივად არ გაბდღვრიალდა ოთახი, ყომრალი სიბნელე შავ ფარდასავით ჩამოფარებოდა გარემოს. ფრთაფარფატაშვილი ტკბილი ზმანებიდან გამოერკვა, ჩაბნელებულ ქუჩას გახედა, გასტრონომსაც შეავლო თვალი, მაგრამ იქაც კუნაპეტ სიბნელეს დაეპყრო არემარე!..

მცირეოდენი დაბნეულობის შემდეგ გადაწყვიტა სანთლის პატარა ნატეხი მოეძებნა, აბაზანის ოთახში რომ ეგულებოდა, მაგრამ არც ისე ადვილი აღმოჩნდა სურვილის შესრულება. ხელის ფათურით მიჰყვებოდა ავეჯით დახაფრულ გზას, ვარაუდით ადგამდა მოკლე ნაბიჯებს, მაგრამ უმტყუნა გუმანმა, მარჯვენა ფეხი ჟურნალების მაგიდას ნამოსდო და იქიდან გადმოვარდნილმა ხილით სავსე ლარნაკმა იატაკზე მოადინა ჯახანი!..

— ფუჰ შენი!.. — შეუკურთხა გამწარებულმა და ბროლის ნამსხვრევებს ფეხსაცმლის წვერი გამეტებულად ამოჰკრა.

აბაზანაში სანთელი არ აღმოჩნდა, უკან გამოსვლისას ზამბარიანი კარი ჩარჩოსთან დაეწია და დამიზნებული ფინდიხივით შუბლზე შეასკდა!..

— ეშმაკმა დაგლახვროს, ეშმაკმა! — ჩაიბურტყუნა და ორივე ხელი პირზე აიფარა. სოკოსავით ამოწეული კოპი თანდათან იზრდებოდა!..

— ასეთი სიფათით არ გინდა ლექციის წაკითხვა?!

ტკივილით გამწარებულმა მაგიდას ხელი გამეტებულად დაარტყა და, ჰოი, საკვირველებავ! — მაგიდიდან ავარდნილმა ასანთის კოლოფმა ისევ მაგიდაზე მოადინა ტყაპანი. ერთი ღერი აანთო და ტელეფონების წიგნში „თელასს“ დაუწყო ძებნა. როგორც იქნა, მიაგნო, იპოვა ნომერი და გატრუსული თითებით ციფრები აკრიფა.

— თელასია?
— გახლავთ!
— რატომ არ არის სინათლე კოწახურის დაღმართზე?
—ელექტროენერგიის ნაკლებობის გამო ქალაქში გრაფიკი დაწესდა! — ჩაიჩიფჩიფა ვიღაცამ.
— მერე?
— რა მერე?
— მერედა ის, რომ უფრო ფართო ინფორმაცია უნდა მომაწოდო! შენ რა, ლაპარაკი არ იცი?
— ლაპარაკი ბევრი არა, მაგრამ ელექტრობის საქმე კარგად ვიცი!.. — უპასუხა ვიღაცამ და სწრაფად დაუკიდა ყურმილი.

ფრთაფარფატაშვილის ხელში შეყინული ყურმილი ისევ თავის „ტუ“-ტუ“-ს განაგრძობდა!..

ვალერიან მამუკელაშვილი

ვანო ჩხიკვაძე

ანრეკვილი

ჭადრაკის დაფა.
უილაჯო მეფე.
უთოფო ჯარისკაცი.
უცხენო ეტლი.
მამაცი ოფიცერი
სამსხვერპლოს ეძებს,
სისხლით დაჭორფლილა
ხელები მხედრის!..

ღირსი თუ ულირსი
მანამდე სუნთქავ,
ბებერი მეფე
დაიცვა უნდა!..

და მიბორძიკობს
ცხოვრება ასე:
სხვადასხვა მეფე,
ოფიცერი,
და ერთი დაფა!
ცოცხლობენ,
ბოლოს სუყველა ავსებს
ამ ერთ დაფაზე
საერთო საფლავს!
— წინ! — ოფიცერი
ძალლივით ყეფს და
დამფრთხალ პაიკთა
შეკრებას ცდილობს.
— წინ!.. თორემ
ხიშტი დანესტრავს კეფას,
წინ — მეფისათვის,
წინ, ღორის ტილო!..

მამაცი ოფიცერი
ირჯება მხოლოდ,
შუბლზე ასკდება
მტვრიანი ოფლი.
ჟღალულვაშიან
ამ ჭკუის კოლოფს
კახპა დედოფლის
ღიმილიც ჰყოფნის.

ღირსი თუ ულირსი,
მანამდე სუნთქავ,
ბებერი მეფე
დაიცვა უნდა!..

და მიბორძიკობს
პაიკი ასე,
მუჯლუგუნებით
მეფე „მამიკოსი“,
რა დროს ფიქრია
საკუთარ თავზე?!
არის ნაბრძანები:
— პაიკო, წინ!..

თუმცა გრძნობენ, რომ
უაზრო სვლაა,
მაინც წინ მიდის
პაიკთა წყება,
ბედნიერება
იმათთვის სხვაა —
ეგებ იპოვონ
სიკვდილში შვება!

ცხოვრება უნდა
სამსალით წერო,
იარე წინ და
იარე, კეპე!
შენ ვინა გკითხავს,
საწყალო მწერო,
რამდენ საყვარელს
გაიჩენს მეფე?!
ან დედოფალი
სათნო და ქერა,
ვის სარეცელზე
მოიკლავს ნდომას?!

შემოუჭირე
საჩქაროდ ღვედი
აბუყბუყებულ
ცარიელ სტომაქს!

ღირსი თუ ულირსი,
მანამდე სუნთქავ,
ბებერი მეფე
დაიცვა უნდა!

— რა ამბავია?!
შეგვჭამა ქინქლამ,
სული ამოგვხდეს
ჭაობში ლამის!..
— ჩვენში დარჩეს და,
სიმართლე გითხრა,
მხოლოდ და მხოლოდ
სვლა დაგვრჩა სამი!

— ჩვენს ლენჩ ოფიცერს
მიეცი ბანქო

და საყურებლად
დედოფლის გავა!..
ტაკიმასხარა
პაიკი ანგლობს:
— ბოლოს სუყველა
ერთ ყუთში ჩავალთ!..

ცეცხლი ჩაუქრო
ულაყმა შარდით,
ფრუტუნ-ფრუტუნით
გაუყვა ღამეს.
სამი პატარა
გუდურა დარდის
ზის და მასხარას
ბოთლიდან სვამენ.

— ისე პატარა
ხალხი ვართ, ძმებო,
გაჭირვებამდე
ვერავინ გვამჩნევს,
მერე, იცოცხლეთ,
მზად არის ქება
და ჩვენკენ მეფეც
გამორბის მარჯვედ!
— დათვლილი არის
წუთები ჩვენი! —
ამბობს მეორე
და იცრემლება!..

ტაკიმასხარას
გაუხმეს ენა:
— ხომ არ ჩავბარდეთ
ყველა მძევლებად?..

პირველმა მშვიდად
დანრუპა ბოთლი,
მეორემ თითქოს
ჩამღერა ნაღველს:
— შემირცხვენია
ასეთი ყოფა,
იქით წაიქეც,
საითაც წახველ!..

დაიხურება
პატარა ყუთი,
არავინ დავობს,
არავინ ბორგავს,
არეულია
ოფიცრის შუბი,
მასხარას ძონძი,
დედოფლის ტოგა!..
მეფის კისერზე
მასხარა ყვინთავს
(უცებ გასწორდა
სასწორის პინა!).
ო, საოცრებავ,
დიდთავა ბიჭთან —
დედოფალს მეფის
პაიკთან სძინავს!
ოფიცერი კი,
ეს მხნე რაინდი,
ჩახუტებული
შუბსა და ჰოროლს,
აღარ გაჰყვირის:
— წინ მეფისათვის! —
და აღარ იგრეხს
ულვაშის ბოლოს!..

მე მაინც მიყვარს
ამ აბდაუბდით
და სისულელით
სავსე კოლოფი,
თავის სიკეთით,
თავის აუგით,
სრა-სასახლით და
თაგვის სოროთი!
ავხდი ფრთხილად და
— ადგილზე! — ვიტყვი, —
დიდებულებო,
სალახანებო,
ლოთებო, ბილწნო,
ყველას დაგიტევთ
ეს უცნაური
სიზმრის სამეფო!

1973 წ.

ნახ. ბ. ზუბაშვილისა



უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

300
31.V 1989

ნახ. ვ. კუციასი



უსიტყვოდ

ვითომ ეს სანიანგოა?..

ანუ
მინიბარათები „ნიანგს“

ქუჩები კ ე თ ი ლ მ ო უ წ ყ ო ბ ე ლ ი ა, „ნიანგო“, ჩამობრძანდი და შენი თვალით ნახე ჩვენი გაჭირვება! ამ ქუჩებში სიარული ჩვენ გვიჭირს, თორემ შენთვის მისწრებაა!..
ქ. ოჩამჩირე, ლენინის, კომსომოლსკაიას და ბაზრის ქუჩიდან სადგურამდე მიმავალი ქუჩის მცხოვრებლები.

* * *

ჩვენთან ს ი ნ ა თ ლ ი ს გამორთვას სისტემატური ხასიათი აქვს, სანთელი კი სანთლით საძებარია. გამოსავალი ნავთია, რომელიც ხელმისაწვდომად იყიდებოდა მეტრო „ვარკეთილის“ მახლობლად ხომლის ქუჩაზე მდებარე № 51 მაღაზიაში, მაგრამ ავიენები ამბობენ, ამ მაღაზიას რომელილაც კოოპერატივისთვის აუქმებენო. კოოპერატივის წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ...
ვარკეთილის მასივის ზემო პლატო, VI კორპუსი, ბინა 39, 28 და 45-ის მცხოვრებლები.

* * *

„სოფელში გ ე პ ა ტ ი ჟ ე ბ ი თ **კორბოულელი გლეხები, ნავით ჩამოდი, „ნიანგო“, არ დაგისველდეს ფეხები!“** ლექსის ხასიათზე არა ვართ, მაგრამ ეს ოხერი უგზოობა სოფლისთვის ცუდი რამ ყოფილა.
საჩხერე, სოფელ კორბოულის მცხოვრებლები.

* * *

ამ ბ ა რ ა თ ს მეორედ გიგზავნით. ნუთუ ჩვენი სატკივარი არც შენ არ მიიტანე გულთან, ძვირფასო „ნიანგო“? არც წყალი, არც გაზი, არც კეთილმოწყობილი ქუჩა, უსინათლობა!.. როდემდე ვიყოთ ასე?!.
გორი, მელიქიშვილის ქ. № 13, 15, 11 სახლების მცხოვრებლები.

* * *

იმ ს ა ხ ლ შ ი, სადაც მე ვცხოვრობ, ხუთი წლის წინ „თბილფოტოს“ სალონი გაიხსნა, შემდეგ მავანმა და მავანმა ამ სახლს სახურავი შეუცვალეს, რის გამოც მოიშალა ხსენებული სახლის სახურავის საქარე. ლენინის რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტისათვის მეტად ძნელი აღმოჩნდა ყურადღელო ჩემი თხოვნა მონგრეული საქარის აღდგენის შესახებ. გთხოვთ დამეხმაროთ!
პატივისცემით — პენსიონერი რომან ბიჭინაშვილი (თბილისი, ოქტომბრის ქ. № 137).

* * *

ეს მინიბარათები მართლაც არ იქნებოდა სანიანგო, მათ ადრესატებს დროულად რომ მიეტანათ გულთან ბარათების უკან მდგარი ადამიანების გასაჭირი.
ქვემოთ დაბეჭდილ ეტიკეტსა და დეპეშის ტექსტს კომენტარი არ სჭირდება!..

მერქნის გადამუშავებისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების კომბინატი
პროდუქციის დასახელება ____________
____
არტიკული ____________
ფასი ____ მან. ____ კაპ. ____
ზომა ____________
დამზადების თარიღი ____________
წუნმდებელი ____________

160911 ЦАЛЕНДЖИХА 156 17 30 1532=
КУТАИСИ ГЙМАРДЖВЕБИС ГАМЗИРИ 19 Ч/37 СОСО ЛИА ГИОРГАДЗЕЕБС=
ГИДОЦАВТ АХАЛ ЦЕЛС ГИСУРЕВI DVAMRTELOBAS GEHWEИ IT DA GOCNIT LILI DA GIGIША- БАККРИ-1953

ბარათები მიიღო
ნანა ჯაჯანაშვილმა

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

ყველაფერი იუმორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუფი უყვება მეგობარს, როგორი იყო მისთვის 1959 წლის „ელექტრული“ ახალი წელი: მისმა ცოლმა საჩუქრად მიიღო ელექტროლუმელი, თვითონ — ელექტროსაპარსი, ქალიშვილმა — თმის ელექტროსაშრობი, ხოლო უმცროსმა ვაჟმა — სათამაშო ელექტრორკინიგზა.

დასასრულ მან გაიგო, რომ მის ძმასაც, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს, საჩუქრად მიულია... ელექტროსკამი!..

* * *

ერთ-ერთ წვეულებაზე სტუმარმა საკმაოდ გრძელი სადღეგრძელო წარმოთქვა და ბოლოს დაასრულა:

— მაპატიეთ, რომ ასე დიდხანს მივიქციე თქვენი ყურადღება! სამწუხაროდ, საათიც კი არ გამაჩნია!..

იქვე მჯდომმა ნუფმა შეამჩნია და უთხრა:

— სამაგიეროდ კედელზე, თქვენს პირდაპირ, კალენდარი ჰკიდია!

* * *

ნუფი: — სურვილი მაქვს ვნახო ის გაიძვერა, რომელიც გუშინ, ღამით ჩემს ბინაში შეიპარა.

პოლიციელი: — რაში გჭირდებათ მისი ნახვა?

ნუფი: — მინდოდა მეკითხა მისთვის, როგორ გადაძვრა ბინაში ისე, რომ ჩემი ცოლი არ გაუღვიძებია.

* * *

ქალს ჰყავდა თვრამეტი შვილი. ერთხელაც ერთ-ერთი მათგანი, უმცროსი, გაფისულ კასრში ჩავარდა. ცოლმა ქმარი მოიხმო და უთხრა:

— როგორ ფიქრობ, ძნელი არ იქნება ამის დაბანა? ხომ არ სჯობია მომავალ ბავშვზე ვიფიქროთ?

* * *

ოფიციანტი: — მაპატიეთ, სერ, მაგრამ მე არ შემიძლია ამ ბიფშტექსის უკან წაღება, რადგან ის გაღუნულია.

* * *

— თუ გამოვიცნობ, რამდენი თევზია მაგ ჩანთაში, ხომ მომცემ ერთ ცალს?

— თუ მართლა გამოიცნობ, ორივეს შენ გაჩუქებ!

* * *

დიასახლისმა ბავშვის მოსავლელად ძიძა აიყვანა.

— რატომ გითხრეს უარი იმ სახლში, სადაც ადრე უვლიდით ბავშვს?

— ბავშვის დაბანა დამავიწყდა ერთხელ.

— ავიყვანოთ რა, დედა! — **გამოსძახა ოთახიდან პატარამ.**

* * *

— აბა, მითხარი, დღეს რას მეცადინეობდით სკოლაში? — **ეკითხება დედა შვილს.**

— ჩვენ ვეძებდით უმცირეს მნიშვნელს.

— უმცირეს საერთო მნიშვნელს? მოითმინე, მაცალე, მოვიფიქრო!.. ასე ხომ ჩვენც ვეძებდით მას, როდესაც სკოლაში ვსწავლობდი, მახსოვს, ის ისეთი პატარა იყო...

— ბოლოს რა ქენით, იპოვეთ?

* * *

— რა ვქნა, არ ვიცი!.. ვოცნებობ ცოლის შერთვაზე და დედაჩემის გული ვერაფრით ვერ მოვიგე. ვინც კი ვაჩვენე, არც ერთი არ მოეწონა!

— სულ უბრალო საქმეა. უნდა აჩვენო ისეთი, რომელიც მას ემგვანება!

— მაგნაირიც მოვიყვანე, მაგრამ მამაჩემმა საშინელი ჩხუბი ამიტეხა!

* * *

ფსიქიატრი პაციენტს ეკითხება:

— გქონიათ თუ არა ისეთი შემთხვევა, როდესაც გესმით ვინმეს ან რაიმეს ხმა, მაგრამ არ იცით, ვინ არის და საიდან ისმის?

— კი. ამით ხშირად კმაყოფილიც დავრჩენილვარ.

— საინტერესოა, როდის ხდება ხოლმე ეს?

— ყოველ შემთხვევაში, როცა ტელეფონი რეკავს, მე მესმის, მაგრამ ხმა უცნობია.

* * *

ალელვებულმა მგზავრმა სადგურის მორიგეს მიმართა:

— ვერ გამიგია, რატომ ჰკიდია აქ მატარებლების მიმოსვლის განრიგი, თუკი ისინი ერთნაირად აგვიანებენ?

— ეს განრიგი რომ არ ყოფილიყო, ხომ ვერ გაიგებდით, მატარებელი აგვიანებს თუ არა!

* * *

— ალო!.. ბოლოს და ბოლოს დავიღალე, იმდენჯერ ჩამოუშვეს ჩემს ბინაში წყალი, რომ ჭერიც კი ჩამომენგრა!.. ჯერ კიდევ წლინახევრის წინ დავტოვე თქვენთან განცხადება სახურავის შეკეთების თაობაზე.

— დარეკეთ 88—224-ზე!

— ეს თქვენი მმართველის ნომერია?

— არა, ამინდის ბიუროსი.

* * *

ქორწინების შემდეგ ქმარი გამოუტყდა ცოლს:

— ძვირფასო, მე შენთვის ჯერ კიდევ ყველაფერი არ მითქვამს... ჩემს ორ შვილს ალიმენტს ვუხდი!..

— არაფერია საგანგაშო, სამაგიეროდ მე ვღებულობ ჩემი ორი ბავშვის კუთვნილ ალიმენტს!

* * *

კომისიის წარმომადგენელი, რომელმაც შეამონმა ქალაქის ცხენე, მის უფროსს ეუბნება:

— პირველად ვხედავ, რომ პატიმრები კმაყოფილი არიან ციხეში ყოფნით!

— ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენ მათთვის ხშირად ვატარებთ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს.

— მათგან რომელია ყველაზე პოპულარული?

— ღია კარის დღე!

* * *

პოლიციამ ქუჩაში მთვრალი მამაკაცი დაიკავა და მოსამართლეს წარუდგინა.

— რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ უკვე აღარ მინდა შენი დანახვა?

— რა ვქნა, ბატონო მოსამართლევ, მეც ვუთხარი ამათ, მაგრამ არაფრით არ დამიჯერეს!

* * *

— როგორც იქნა, მივაღწიე იმას, რომ ჩემი ქმარი გადავაჩვიე ფრჩხილების კვნეტას.

— როგორ მოახერხე?

— ქვედა ყბის პროთეზი დავუმალე.

თარგმნა მანანა ჩოკოშვილმა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ № 9 (1787) მაისი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლალუა** (მხატვარ-რედაქტორი). **ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 31. 03. 89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 05. 89 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის **გამომცემლობა,** ლენინის 14. შეკვ. № 804. ეე 04672. ტირაჟი 130000.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

89-300
7-89

მარო, შე ქალო,
მოიტანე სადილი,
მოვკვდი კაცი
შიმშილით!..
ნახ. მ. აბაშიძისა